
20 | დიმიტრი ყიფიანის ქუჩა



ისტორიულ-არქიტექტურული

კვლევა



საკვლევი ობიექტი წარმოადგენს მთაწმინდს უბნის ზედა ნაწილში, დიმიტრი ყიფიანი ქუჩის შუა წელზე მდებარე XIX საუკუნის მეორე ნახევარში აგებულ ტიპურ თბილისურ საცხივრებელ სახლს. სახასიათო ღია ტიპის ეზოთი და ეზოს გალერეებით გახსნილი ფასადით. სახლი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქუჩის არქიტექტურულ-სივრცითი კომპოზიციის შექმნაში , თუმცა მას არ გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

საკადასტრ. კოდი : 01.15.05.039.022.




უბნის განაშენიანების მოკლე ისტორია


მე-19 საუკუნემდე თბილისი უმეტესწილად გალავანს შიგნით ვითარდებოდა. 1800 წლის შემდეგ კი ერთი მხრივ რუსეთის ხელისუფლების დამყარებამ და სხვა დამპყრობლის შემოსევის რისკების შემცირებამ, მეორე მხრივ, ზოგადად ურბანიზაციისა პროცესმა, რამაც ქალაქში ცხოვრების მსურველთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია, განაპირობა ქალაქის ზრდის საკმაოდ ჩქარი ტემპი. თბილისი გასცდა გალავანს და დაიწყო ქალაქის მომიჯნავე ბაღების და სოფლების ათვისება. ყველაზე ადრეულ ეტაპზე ეს პროცესი, უშუალოდ თბილისის უძველესი, გალავან შემოვლებული უბნის - კალას, მომიჯნავე ტერიტორიებს სოლოლაკსა და მთაწმინდას შეეხო.

რუსეთის ხელისუფლებამ შემოსვლისთანავე შეადგინა თბილისის განვითარების გეგმა. ახალი ტერიტორიების განაშენიანების პერსპექტიულ დოკუმენტებს საფუძვლად , იმპერიაში უკვე აპრობირებული, მეთოდოლოგია ედო: რეგულარული ქუჩათა ბადისებრი ქსელი , რომელიც ტერიტორიას სწორკუთხა, თანაბარი ზომის კვარტლებად ანაწევრებდა. თუმცა ქალაქის რთულ ლანდშაფტზე მსგავს განვითარება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. შესაბამისად, ადგილობრივმა აპირობებმა და არსებულმა გამოცდილებამ გეგმარებით დოკუმენტებში მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა. რის შედეგადაც მივიღეთ: გეგმასთან მეტად მიახლოებული კვარტლები, სწორკუთხა გეგმარებითა და ბადისებრი ქუჩათა ქსელით, იქ სადაც რელიეფი სწორია მაგალითად სოლოლაკი, მთაწმინდის ქვედა ნაწილი და არსებულ ლანდშაფტს მორგებული მეტად ირეგულარული, ქაოსური განაშენიანება იქ, სადაც ქანობი დიდია, მაგალითად მთაწმინდის ფერდობზე. აქ კვარტალთა ზომები შემცირებულია, ქუჩათა ქსელი ირეგულარული, მიხვეულ-მოხვეულია, ფერდობებს აყოლილი. მიწის ნაკვეთები უსწორმასწორო, ასევე ლანდშაფტს მორგებული. აღნიშნული გარემოებები მნიშვნელოვნად განაპირობებენ არქიტექტურას. ქალაქის მთავარ გამზირის სიახლოვეს, მეტად სწორ რელიეფზე მდებარე უბნების არქიტექტურულ სახეს აყალიბებს ძირითადად პროფესიონალ არქიტექტორთა მიერ დაპროექტებული მსხვილ მასშტაბიანი შენობები. აქ განთავსებული საზოგადოებრივ შენობები და მაღალი შემოსავლის მქონე პირთა საცხოვრებლები თუ საშემოსავლო სახლების ფასადები ევროპულად არის გამართული.


მთაწმინდის ზედა, მეტად ციცაბო რელიეფზე შეფენილი განაშენიანება კი უფრო მცირემასშტაბიანია, ლანდშაფტზე მორგებული, მიწის ნაკვეთიდან და ოროგრაფიიდან გამომდინარე საინტერესო ირეგულარული გადაწყვეტებით, მრავლად ვხვდებით მთავარ ფასადზე შეკიდულს ხის აივნებს და თბილისისთვის სახასიათო ღია ტიპის ეზოებს.




1802г.




1850г.




1887г.



1934г.



2023г.



წითლად დაფერილია კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები / რუკა აღებული 2008 წლის თბილისის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმიდან

დიმიტრი ყიფიანის ქუჩა არსენას ქუჩიდან იწყება, მთაწმინდის ციცაბო ფერდს მიუყვება და კაკაბაძის ქუჩამდე ადის. ქუჩაზე მაღალია კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლთა კონცენტრაცია: ყიფიანის ქ.#5,6,7,8,9,11,13, 15,17, 22 .

ქუჩას დიდ წილად შენარჩუნებული აქვს მთაწმინდის ზედა უბნებისთვის სახასიათოა ნიშან-თვისებები: ოროგრაფიას მორგებული დაკლაკნილი ქუჩები და ქუჩის პლასტიკას მორგებული არქიტექტურა. შედარებით მცირე მასშტაბის, რელიეფს მორგებული, ძირითადად პერიმეტრული განაშენიანებაში ჩართულია ეზოები, მათ მიერ შექმნილი სივრცითი პაუზები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ქუჩის სივრცითი კომპოზიცია და ხასიათს. არქიტექტურა ძირითადად მიჰყვება მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან თბილისში გავრცელებულ ტენდენციას: ქუჩის ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი ფასადები და თბილისური გალერეები ეზოში. დიმიტრი ყიფიანის ქუჩის ქაოსურად განვითარებული შედარებით მცირე მასშტაბის მეტად ვერნაკულარული ხასიათი განაშენიანებას განსაკუთრებულ კამერულ ხასიათს სძენს. მიკრო კვარტალი მისი ქუჩთა ქსელით, შენარჩუნებული მორფოლოგიითა და არქიტექტურით ინახავს ქალაქის ამ ნაწილის განვითარების უწყვეტ ჯაჭვს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქუჩის ურბანულ დრამატურგიაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს სივრცითი პაუზები, რასაც ქუჩაზე გახსნილი ეზოები ქმნიან. ეზოების ნაწილი ბესიკის ქუჩაზე არსებული ობიექტების განაშენიანების უკან არსებული ეზოები, ნაწილი კი ყიფიანის ქუჩაზე განთავსებული, თბილისისთვის სახასიათო ღია ტიპის ეზოები. მათ შორის არის ჩვენი საკვლევი ობიექტიც.



ყიფიანის #5



ყიფიანის #6




ყიფიანის #7



ყიფიანის #8



ჩვენს საკვლევ ობიექტი, დიმიტრი ყიფიანის 20 განთავსებულია ქუჩის შუა წელზე, იქ სადაც ის ყველაზე მკვეთრ მრუდს ქმნის და მთაწმინდის ქუჩის პარალელურად ვითარდება . ობიექტი წარმოადგენს Г-ს კონფიგურაციის საცხოვრებელ სახლს, რომელიც მკლავებით შემოწერს ეზოს. მიუხედავად იმისა , სახლი საკმაოდ სახეცვლილია, მნიშვნელოვანი მახასიათებლების ამოკითხვა მაინც შესაძლებელია: ობიექტი თავდაპირველად ორ სართულიანო იყო. ძირითადი, ეზოს ფასადები გალერეებით იყო გახსნილი. ახლა გალერეები ამოშენებულია , მათ წინ კი მოწყობილია ლითონის უსახური აივნები. ლითონის კონსტრუქციებს ღია ტიპის ეზო თითქმის სრულად აქვს ამოვსებული. ეზო ქუჩისგან შელესილი გალავნითა იმიჯნება , რომელშიც ჩართულია ლითონის უსახო კარი და ჭიშკარი



ქუჩის პარალელურად განვითარებული მკლავის ზურგის ფასადი მთაწმინდის ქუჩის 27 ნომრის ეზოს ესაზღვრება, პერპენდიკულარულით- ყიფიანის 22-ს, ეს მკლავი ტორცოთი ქუჩის პირამდე გამოდის. აქ, მეორე სართულზე სამი თაღოვანი ღიობია, მათ წინ აივანი იყო მოწყობილი. ამას ადასტურებს ისტორიული ფოტო, სადაც ჩანს, რომ ხის, შეკიდული, გადახურული აივანი ტორცოს ფასადის მთელ სიგრძეზე გაუყვება.



შენობის ორივე მკლავის გადახურულია ცალქანობა გადახურვით. როგორც ეზოს, ასევე ზურგის ფასადებზე არაერთი გადაკეთების კვალია, რამაც მნიშვნელოვანი ნეგატიურ გავლენა იქონია შენობის არქიტექტურაზე. მესამე სართულის დაშენების შედეგად შეცვლილია სახურავის კონტურიც. პერპენდიკულარულად განვითარებული , მკლავის ზურგი ყრუა , აგურის, შეუღლესავი ,ხის კოჭების ჩანართებით. აღსანიშნავია, , რომ ისტორიულ ფოტოზე ამ კედელზე ერთსართულიანი, ასევე ცალქანობა სახურავით გადახურული შენობაა მიდგმული. ზოგადად, მსგავსი ქანობით გადხურული , ქუჩის პერპენდიკულარულად განვითარებული მკლავები აგურის, შეუღლესავი ზურგის ფასადებით სახასიათოა ქუჩისთვის და ისინი საკმაოდ აქტიურად მონაწილეობენ ქუჩის სივრცით-არქიტექტურული კომპოზიციის და ხასიათის ჩამოყალიბებაში.







დასკვნა და რეკომენდაციები

ყიფიანის #20 მიუხედავად იმისა , რომ წლების განმავლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა საკმაოდ ნეგატიური გავლენა მოახდინა მასზე, მაინც ინარჩუნებს მნიშვნელოვან, ავთენტურ მახასიათებლებს და განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქუჩს სივრცით-არქიტექტურული კომპოზიციის ჩამოყალიბებაში. საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ისტორიული ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ფენის- ფონური განაშენიანების საუკეთესო ნიმუშს. XIX საუკუნის თბილისურ ტიპურ ნაგებობას, ის შესანიშნავად ასახავს თბილისი სამშენებლო კულტურასა, აქ მცხოვრებელთა ტრადიციებსა და საჭიროებებს , დამოკიდებულებას ლანდშაფტის, სამეზობლოს მიმართ. ყიფიანის ქუჩის აღმართს გაყოლილი, XIX საუკუნის მეორე ნახევრის სახლს ბევრს გვიყვება თბილისურ ცხოვრების წესზე. ინარჩუნებს და ასახავს ქალაქის განვითარების კონკრეტულ ეპოქას. უზრუნველყოფს ევოლუციური ჯაჭვის უწყვეტობას, რაც ასე მნიშვნელოვანია ქალაქისთვის და რაც ქმნის კიდეც ისტორიულ ქალაქს.

შესაბამისად, რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის მიზნად უნდა ისახავდეს უსახო ჩარევების გამოსწორებას და მეტად ხაზი გაესვას შენობის პირველად არქიტექტურულ ჩანაფიქრს ხაზგასმას. ამისთვის საჭიროა:

ეზოს ფასადიდან მოიხსნას ლითონის კონსტრუქციები;

გათავისუფლდეს, ამ ეტაპზე , თითქმის სრულად ამოვსებული ეზო;


ეზოს ფასადებზე ისევ მოეწყოს გალერეები;

ქუჩის აბრისზე დასმული ტორცოს ფასადზე შესაძლებელი და სასურველია ისევ მოეწყოს აივანი;

მოწესრიგდეს ზურგის ფასადები, რომელიც ამ ეტაპზე სახეცვლილია სხვადასხვა პერიოდისა და განსხვავებული მასალის ჩარევებით; თუმცა მიუღებელია ზურგის ფასადების შელესვა. აუცილებელია დაშენებული სართულების მოწესრიგება, აუცილებელია შენარჩუნებული იყოს სახურავის ძველი კონტურის ხაზი, რომელიც ამ ეტაპზე კარგად იკითხება ქუჩისპირა ტორცოს ფასადზე.

ჩამოიხსნას უსახო ნალესობა გალავნიდან, ასევე გალავნის კედლის თავზე არსებული ლითონის ცხაური შეიცვალოს ლითონის ჭიშკარი.







თამარ ამაშუკელი

პირადი ინფორმაცია

პირადი ნომერი: 01005004314

სრული სახელი: თამარ ამაშუკელი

სქესი: მდედრობითი

დაბადების თარიღი: 03.07.1976

მოქალაქეობა: საქართველო (Georgia)

საკონტაქტო ინფორმაცია

ელ.ფოსტა: amashukelitamar@gmail.com

მობილურის ნომერი: 599721376

ქვეყანა: საქართველო (Georgia)

ქალაქი: თბილისი

მისამართი: ო. დგებუაძის ქ. 1

ენები

ენა	წერა	კითხვა	მეტყველება
ქართული (Georgian)	C2	C2	C2
Russian	B2	C2	C2
English	B2	B2	B2

განათლება

უმაღლესი აკადემიური ხარისხი/სტატუსი

აკადემიური ხარისხი/სტატუსი: დოქტორი/დოქტორთან გათანაბრებული

მინიჭების თარიღი: 22.07.2020

მიღებული განათლება

აკადემიური ხარისხი/სტატუსი	დაწესებულების დასახელება	ქვეყანა	სპეციალობა	დაწყების წელი	დასრულების წელი
დოქტორი/დოქტორთან გათანაბრებული	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	საქართველო (Georgia)	ხელოვნებათმცოდნე	2013	2019
მაგისტრი/მაგისტრთან გათანაბრებული	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	საქართველო (Georgia)	ხელოვნებათმცოდნე	1994	1998

ტრენინგები/სემინარები/სასწავლო კურსები

ორგანიზაციის დასახელება	ტრენინგის / სემინარის / სასწავლო კურსის თემა	დაწყების წელი	დასრულების წელი
Eurasia Partnership foundation.	Resource Mobilization and diversification of founding	2014	2014
კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი.	პროექტის მართვა	2014	2014
შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ამერიკის შეერთებულ შტატებში	2013	2013
კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი	მენეჯმენტის საფუძვლები	2013	2013
კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი.	ეფექტების კარტოგრაფია	2013	2013
საზოგადოებრივი საქმეთა	კურსი “ყველაფერი თბილისის შესახებ”	2012	2012

სამეცნიერო მიმართულება (2018-2020)

ძირითადი მიმართულებები

მიმართულება: 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

ქვე-მიმართულება: 6.4 ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა)

კატეგორია: 6.4.1 ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

დასაქმების ისტორია

მიმდინარე სამუშაო ადგილ(ებ)ი

სამუშაო ადგილი	სტრუქტურული ერთეულის დასახელება	თანამდებობა	მოვალეობები	დაწყების თარიღი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებაზე	მიწვეული ლექტორი	სალექციო კურსის წარმართვა " კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკა და ისტორიული არეალების მართვა	07.04.2022
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის	ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიის სკოლა	მოწვეული ლექტორი	სასწავლო კურსის "არქიტექტურის პოლიტიკური კონტექსტის" წარმართვა	15.09.2020
შპს "ურბიტექტურა"	შპს	დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი	კულტურული მემეკვიდრეობისა დაცვაზე და განვითრებაზე ორიენტირებული პრეოქტების განხორციელება	18.12.2019

სამუშაო გამოცდილება

კომპანია / დაწესებულება	სტრუქტურული ერთეულის დასახელება	თანამდებობა	მოვალეობები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
ქალაქ ბათუმის მერია	სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური	მრჩეველი კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით	ურბანული მემკვიდრეობის მიმართულებით არსებული საკითხებზე კონსულტირება	01.10.2018	01.07.2020
თბილისის მერია	სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.	მრჩეველი კულტურილი მემკვიდრეობის მიმართულებით.	ისტორიული ქალაქის რეგულაციების შემუშავება	01.07.2018	31.12.2019
საბჭოთა კვლევის ლაბორატორია	-	პროექტის კოორდინატორი	პროექტის კოორდინატორი - საბჭოთა კვლევის ლაბორატორიის პროექტი - ქართულ-გერმანული მეხსიერების არქივის შესახებ/ საქართველოში გერმანიის საელჩოს და თბილისის გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით	01.11.2016	01.11.2017
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის სკოლა	მოწვეული ლექტორი	კურსი "ურბანული მემკვიდრეობის (ისტროიული ქალაქების) მართვა"	15.09.2016	15.01.2019
"სათემო განვითარების ცენტრი"	არასამთავრობო ორგანიზაცია	პროექტის კორდინატორი	პრეოქტის "ინიციატივა არ ისჯება " კოორდინაცია	01.01.2016	01.01.2017
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის	მოწვეული ლექტორი	კურსი "კულტურული მემკვიდრეობის შესავალი"	15.09.2015	01.01. 2017
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის	მოწვეული ლექტორი	კურსი "ურბანული მემკვიდროება(ისტორიული ქლაქები)"	15.09.2013	01.01.2016
"ტფილისის ჰამქარი"	არასამთავრობო ორგანიზაცია	გამგეობის წევრი, აღმასრულებელი დირექტორი	კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციაზე და დაცვაზე ორიენტირებული კამპანიებისა და პროექტების დაგეგმვა , წამართვა	01.02.2007	01.12.2014

კომპანია / დაწესებულება	სტრუქტურული ერთეულის დასახელება	თანამდებობა	მოვალეობები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი "გეოგრაფიკი"	-	ექსპერტი ურბანული მემკვ. დაცვისა და განვითარების საკითხებში	ურბანული მემკვიდრეობაზე ორიენტირებული პროექტების მართვა	01.01.2005	01.09.2012

სამეცნიერო პროდუქტიულობა

სტატია / მონოგრაფია / სახელმძღვანელო

ტიპი	ავტორ(ებ)ი	სათაური	ჟურნალი	წელი
სტატია	თამარ ამაშუკელი, თათია ღვინერია	კონსტანტინე სიბირიაკოვის მახინჯაურის სააგარაკე სახლი	Ars Georgica	2024
მონოგრაფია	თამარ ამაშუკელი	არქიტექტურის პოლიტიკური კონტექსტი		2023
სტატია	თამარ ამაშუკელი, ნანო ზაზანაშვილი	მტკვრის მარჯვენა სანაპიროს განაშენიანების საფრთხეები	ARS GEORGICA	2023
სტატია	სალომე დუნდუა, თამარ ამაშუკელი, სანდრო ტაბატაძე	რა განაპირობებს სოციალური მობრაობების წარმატებას: გუდიაშვილის მოედნის მობრაობა	Europe-Asia Studies	2021
სტატია	თამარ ამაშუკელი	ბათუმის საზღვაო სადგურის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა	სამეცნიერო შრომების კრებული "სახელოვნებათმცოდნეო ეტიუდები"	2020
სტატია	თამარ ამაშუკელი	“არქიტექტურის პოლიტიკური კონტექსტი”	სამეცნიერო ჟურნალები “ ACADEMIA”	2019
სტატია	თამარ ამაშუკელი	ქართული საბჭოთა არქიტექტურის კვლევის წარსული, აწმყო და მომავალი	სამეცნიერო ჟურნალები “ ACADEMIA”.	2017

სტიპენდიები და ჯილდოები

სტიპენდიის/ჯილდოს დასახელება	გამცემი	მიღების წელი
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგარანტო კონკურსში“	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	2015

სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

სამეცნიერო ფორუმის დასახელება	მოხსენების სათაური	ჩატარების ადგილი	წელი
"ახალი და თანამედროვე ხელოვნების საკითხებზე“, “გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი სამეცნიერო კონფერენცია	"მტკვრის მარჯვენა სანაპიროს განაშენიანების საფრთხეები"	თბილისი	2023
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი ქართული საბჭოთა არქიტექტურის ორნამენტი, კონფერენცია "ორნამენტი და კულტურა"	ქართული საბჭოთა არქიტექტურის ორნამენტი	თბილისი	2022
„ქართული ხელოვნება: აღქმა, ინტერპრეტაცია, კონტექსტი, “გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი სამეცნიერო კონფერენცია	ბალნეოლოგიურ კურორტ წყალტუბოს წარსული, აწმყო და მომავალი	თბილისი	2021
გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი, კონფერენცია: " XX-XXI საუკუნეების ქართული არქიტექტურა და ხელოვნება	ქართული საბჭოთა არქიტექტურის კვლევის წარსული, აწმყო და მომავალი	თბილისი	2017
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია,რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი სამეცნიერო კონფერენცია	ნაციონალური ელფერის საკითხი საბჭოთა არქიტექტურაში	თბილისი	2016

GEORGIA

DIPLOMA AA № 0048843 ❋

This is to certify that ~~Mr~~ / Ms TAMAR AMASHUKELI

in 1998 completed a full academic course of the

TBILISI STATE ACADEMY OF ARTS

majoring in FINE ART HISTORY AND THEORY

By resolution of the State Examination Board, dated JUNE, 30 1998 ~~Mr~~ / Ms T. AMASHUKELI is conferred the present DIPLOMA and the qualification of

AN ART CRITIC

Rector

Chairman of the State Examination Board

Dean

City TBILISI 1999

Registration № 6342

Secretary

საქართველო

დიპლომი AA № 0048843 ❋

მიეცა თამარ ამაშუკელს

მასზედ, რომ მან 1998 წელს დაამთავრა

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

სრული კურსი

სახვითი ხელოვნების ისტორიის და თეორიის

სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1998 წლის „30." ივნისის

გადაწყვეტილებით თ. ამაშუკელს მიენიჭა

ხელოვნებათმცოდნის

კვალიფიკაცია.

რექტორი

სახელმწიფო საგამოცდო

კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი თბილისი 1999 წ.

სარეგისტრაციო № 6342

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
APOLLON KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART

KA000061161439220

№ 13/799

22 / სექტემბერი / 2020 წ.

ცნობა

თამარ ამაშუკელი (პ.N 01005004314), 2013 წლის 16 ოქტომბრის № 001 ს\ხ ბრძანების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის (სახელოვნებათმცოდნეო კვლევები) I სემესტრში.

2019 წლის 22 ივლისის, ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმიN3), **თამარ ამაშუკელს მიენიჭა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხი.**

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

გიორგი გუგუშვილი